ოქმი:**ო12.37222091**

თარიღი:**28/07/2022**

ოქმი № 16

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2022 წელი, 28 ივლისი

ქ.ოზურგეთი

12.30-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ქეთევან ხომერიკი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები : მ. ვაშალომიძე, ხ. ცერცვაძე, ვლ. ხავთასი, მ. ჩხიკვიშვილი, დ. მდინარაძე, ხ. თავდიშვილი, ი. თუთბერიძე, ს. ქარცივაძე, ბ. მელუა.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის გეგმის შესრულების აანგარიშის მიმოხილვის შესახებ.

მომხსენებელი: ქ. ხომერიკი

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

სხდომის თავმჯდომარემ, ქ. ხომერიკმა, მოკლედ ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის გეგმის შესრულების ძირითადი პარამეტრების შესახებ. ვრცლად ანგარიში კომისიის წევრებს გააცნო თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ. ანგარიშის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება ანგარიში წარდგენილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის გეგმის შესრულების ანგარიში“ წარდგენილ იქნას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი